**სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *ლალი აბაშმაძის* **შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | **22** | **25** |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | **24** | **25** |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | **18** | **20** |
| პროფესიული თვისებები | **13** | **15** |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | **7** | **10** |
| პროფესიული აქტივობა | **3** | **5** |
| **ქულათა ჯამი** | **87** | **100** |

**სახელი, გვარი:** /ნიკოლოზ მარსაგიშვილი/

**თარიღი : 17.09.2024**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლალი აბაშმაძის** შეფასების

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - ლალი აბაშმაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

**1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ლალი აბაშმაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ლალი აბაშმაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული

პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ლალი აბაშმაძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, ლალი აბაშმაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

*<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ლალი აბაშმაძის შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები გამოარჩევენ მის პიროვნულ და პროფესიულ კეთილსინდისიერებას, თავმდაბლობას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ლალი აბაშმაძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები ლალი აბაშმაძეს გადახდილი აქვს დროულად.

*<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები და სხვა პირები აღნიშნავენ, რომ ლალი აბაშმაძე პიროვნულად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და პრინციპული პიროვნებაა. აღნიშნავენ, რომ მას ახასიათებს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღნიშნოს, რომ იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან/და შემომწირველი, საჯარო მოსმენაზე მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

*<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლალი აბაშმაძე თავდაჭერილია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლო დავებში მხარე არ ყოფილა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ლალი აბაშმაძე დასარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

*<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით,* კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლალი აბაშმაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ლალი აბაშმაძე აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას შეფასებულ სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ ლალი აბაშმაძე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

**2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:**

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ლალი აბაშმაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

*<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 სექტემბერს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში 2024 წლის 4 სექტემბერს ლალი აბაშმაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

ლალი აბაშმაძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/21; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 13. იუსტიციის უმაღლესი სკოლის

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „ადმინისტრაციულ სამართალში ლალი აბაშმაძემ გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. ნაწერები ჩამოყალიბებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად. სამოქალაქო სამართალში მუშაობისას შესაფასებელი პირი პრაქტიკული დავალებების შესრულებისას იყო სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია, დადგენილებები - აზრობრივად დალაგებული. რეკომენდირებულია იმუშაოს გარდა ვალდებულებითი სამართლისა, სამოქალაქო სამართლის სხვა მიმართულებით, რათა უფრო მეტად გაიღრმავოს ცოდნა სამოქალაქო სამართლის სხვა ნაწილში. სისხლის სამართალში მუშაობისას კანდიდატმა გამოავლინა ლოგიკური აზროვნებისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების კარგი უნარი. მას სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი აქვს. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ლალი აბაშმაძე კარგად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენისას კანდიდატმა არასრული პასუხი გასცა სისხლის სამართლის სფეროდან დასმულ შეკითხვებს. ერთ შემთხვევაში, ვერ უპასუხა კონსტიტუციურ სამართლებრივ საკითხზე დასმულ კითხვას.

მიმაჩნია, რომ ლალი აბაშმაძემ დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო დასაბუთებული.

*<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u>* დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ლალი აბაშმაძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში მუშაობის გამოცდილება, ამასთან იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია, მისი დადგენილებები აზრობრივად დალაგებულია." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორებისა და რესპოდენტების ინფორმაციით, კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი დასკვნების ზედმიწევნით თანმიმდევრულად და შინაარსობრივად სწორად ჩამოყალიბება, აქვს სამართლებრივი დასაბუთების მაღალი კომპეტენცია.

*<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u>* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად, „ლალი აბაშმაძის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს

სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სწორად და გასაგები ენითაა გადმოცემული და არ საჭიროებდა ტექნიკურ კორექტირებას. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს სწორად აფასებდა, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები; კანდიდატის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები, სამართლებრივი დასკვნები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა. კანდიდატს შეუძლია საკმაოდ დამაჯერებლად, ლაკონიურად და საინტერესოდ ჩამოაყალიბოს და მსმენელამდე მიიტანოს საკუთარი ნააზრევი. ამასთან, შეუძლია გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგებად გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ კანდიდატი წერს გამართული ქართულით და თავისუფლად კომუნიცირებს სამართლებრივი მსჯელობის ფარგლებში. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ ლალი აბაშმაძეს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე ნათლად, გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

*<u>პროფესიულ თვისებებთან</u>* დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ ლალი აბაშმაძე გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ნათლად და არგუმენტირებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

*<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ლალი აბაშმაძე მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2019 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, მას გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი, ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. ამასთან, იგი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

*<u>პროფესიული აქტივობის</u>* მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ლალი აბაშმაძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების

შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის: 2021 წელი, სექტემბერი (ევროპის საბჭო) - ევროპის საბჭოს პროგრამის ფარგლებში ადამიანის უფლებათა სწავლება იურისტი პროფესიონალებისთვის; 2021 წელი (განათლების ევროპული ცენტრი) - ინტენსიური სასწავლო კურსი თემაზე - სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების სტანდარტების მიხედვით; 2021 წელი, 11-12 დეკემბერი (UNDP) - მედიაცია; 2021 წელი, 24-25 აპრილი (იუსტიციის უმაღლესი სკოლა) - სტრესის მართვა; 2021 წელი, 7 აპრილი (DoJ) - ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე; 2021 წელი, 6, 7, 13 თებერვალი (Prolog) - ბავშვის უფლებათა კოდექსი და სხვა.

**კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ ლალი აბაშმაძის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 87 ქულას.

**შემფასებელი:** **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**თარიღი: 17.09.2024**